

„მაკ“-ის მცირე საგრანტო პროგრამის ხშირად დასმული შეკითხვები

მვირფასო აპლიკანტო,

ჩვენ გვსურს რომ ეს პროცესი თქვენთვის ადვილი და უფრო ეფექტური გავხადოთ. ჩვენ შევკრიბეთ ხშირად დასმული შეკითხვები იმისთვის რომ დაგეხმაროთ და პასუხი გავცეთ შეკითხვებს რომლებიც დაებადათ ჩვენს აპლიკანტებს წარსულში. ვიმედოვნებთ რომ ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ. გთხოვთ დაუყოვნებლივ მიმართეთ ჩვენს ორგანიზაციას დამატებითი კითხვების შემთხვევაში.

პატივისცემით,

თემო გიგაური

მცირე საგრანტო პროგრამის მენეჯერი

Tel: 555 117474

ელ-ფოსტა: [Temuka.gigauri@macgeorgia.org](mailto:Temuka.gigauri@macgeorgia.org)

- პროექტის იდეად რას შემოგთავაზებთ?

იქიდან გამომდინარე რომ ჩვენ გვაინტერესებს თუ რა დასაბუთებული საჭიროება არის თქვენს თემში, ჩვენ ვერ შემოგთავაზებთ კონკრეტულ იდეებს. ერთადერთი მოთხოვნა არის რომ თქვენი პროექტი მნიშვნელოვნად აკავშირებდეს, აძლიერებდეს ან სარგებელს აძლევდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ან მათ ოჯახებს. თქვენი აპლიკაციის განხილვისას სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ გავითვალისწინებთ თუ რამდენ ადამიანს გაეწევა დახმარება თქვენი პროექტის მეშვეობით, ასევე არის თუ არა ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი მდგრადობა, აპლიკანტის შესაძლებლობა რომ შეასრულოს სხვადასხვა აქტივობა და ასევე გამოკვეთილი საჭიროების დაკმაყოფილების მიდგომების ეფექტურობას. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ჩვენს ვებ გვერდს; <http://www.macgeorgia.org/>

- როგორ მივიღო მონაწილეობა?

ესტუმრეთ ჩვენს ვებ გვერდს ([www.macgeorgia.org/grants](http://www.macgeorgia.org/grants)) და გადმოტვირთეთ სააპლიკაციო ფორმა. გთხოვთ გაეცნოთ შევსების წესებს და „ხშირად დასმულ შეკითხვებს“ სანამ მიიღებთ კონკურსში მონაწილეობას. აპლიკაციის თხრობითი ნაწილის და ბიუჯეტის შევსების შემდეგ გადმოაგზავნეთ თქვენი აპლიკაცია მოცემული ელ-ფოსტის მისამართზე; [mac\\_info@macgeorgia.org](mailto:mac_info@macgeorgia.org).

- ვისთვის არის შესაძლებელი პროექტში მონაწილეობის მიღება?

ნებისმიერი კერძო პირისთვის, არაკომერციული ორგანიზაციისთვის, მთავრობის საგენტოსთვის და შშმ პირის ორგანიზაციისთვის (DPO).

- როდის არის აპლიკაციის გამოგზავნის ბოლო ვადა?

ჩვენ წლის მანძილზე თანდათან ვიღებთ აპლიკაციებს, გთხოვთ იხილოთ განხილვის ინტერვალები და აპლიკაციის შემოტანის ბოლო ვადები:

აპლიკაციის შემოტანის ბოლო თარიღი:	დაფინანსების შესახებ ინფორმირების საგარეუდო თარიღი:
1 აპრილი	15 მაისი
1 ივლისი	15 აგვისტო
1 სექტემბერი	15 ოქტომბერი
31 დეკემბერი	15 თებერვალი (2023)

- საშვალოდ რამდენი პროექტი ფინანსდება მაკის მიერ?

ყველა აპლიკაციის შეფასება ხდება მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, იმის გამო რომ ფინანსური სახსრები შეზღუდულია ჩვენ პრიორიტეტს ვანიჭებთ ისეთ აპლიკაციებს რომლებიც უფრო ეფექტურად მოიხმარს თანხებს. მიუხედავად იმისა რომ ჩვენი საგრანტო თანხა არის მაქსიმუმ 3000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ჩვენ ხშირად ვიღებთ აპლიკაციებს რომლებიც გაცილებით ნაკლებ თანხას მოითხოვს, ჩვენ გირჩევთ რომ ფრთხილად და მაქსიმალურად რეალისტურად განსაზღვროთ თქვენი საჭიროებები ბიუჯეტში, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი პროექტი არ დაფინანსდება.

- როგორი არის განხილვის პროცესი?

მაკ-ჯორჯიას მცირე საგრანტო პროექტის განხილვა ხდება შემდეგი საფეხურების მიხედვით:

1. აპლიკაციები დამუშავდება იმისთვის რომ გადამოწმდეს სრულად არის შევსებული თუ არა.
2. სრულად შევსებული აპლიკაციები მზადდება განხილვისათვის (ითარგმნება საჭიროების შემთხვევაში)
3. საგრანტო პროექტის მენეჯერი კრებს მინიმუმ 4 ადამიანისგან შემდგარ კომისიას, რომელიც აფასებს აპლიკაციებს თავიანთ გამოცდილებაზე და ცოდნაზე დაყრდნობით.
4. აპლიკანტები რომლებსაც მოიწვევენ გასაუბრებაზე გადადიან შემდგომ ეტაპზე, მათ ეძლევათ საშუალება რომ წარადგინონ თავიანთი იდეა კომისიის წინაშე გასაუბრების რეჟიმში და ასევე გასცენ პასუხები კომისიის კითხვებს.
5. კომისიის მიერ შერჩეული დ მაკ-ის ხელმძღვანელის მიერ დადასტურებული აპლიკანტები ხელს აწერენ საგრანტო ხელშეკრულებას. ხელშეკრულების დადების შემდეგ გადმოირიცხება საგრანტო თანხა.
6. ყველა აპლიკანტი მიიღებს დადასტურებას დაფინანსდა თუ არა მათი პროექტი.

- მომემატება თუ არა შანსი რომ მივიღო დაფინანსება თუ სრულ თანხაზე ნაკლებს მოვითხოვ?

მაკ-ის გუნდი ძალიან დიდი ყურადღებით განიხილავს ხარჯების ეფექტურობას და მოუწოდებს აპლიკანტებს რომ მოგვაწოდონ რეალისტური ბიუჯეტი. თქვენს მიერ ნაკლები თანხის მითითება არ ნიშნავს იმას რომ მოგემატებათ დაფინანსების შანსი თუმცა არარეალისტურად დიდი ბიუჯეტის შემთხვევაში თქვენი აპლიკაცია მიიღებს დაბალ ქულას რასაც მოყვება დაფინანსების მიღების შანსის შემცირება.

- რა ხანგრძლივობის უნდა იყოს პროექტი?

შემოთავაზებული პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

- ვის შემძლია მივმართო დამატებითი კითხვებით აპლიკაციის ჩაბარებამდე?

ჩვენ მოგიწოდებთ რომ დაუკავშირდეთ ჩვენს პროექტის მენეჯერს - თემო გიგაურს (სამუშაო საათები ორშ/პარასკევი 09:00-16:00). ტელ; 555 11 74 74; ელ ფოსტა: [Temuka.gigauri@Macgeorgia.org](mailto:Temuka.gigauri@Macgeorgia.org)

- შესაძლებელია თუ არა გრანტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა?

ეს დამოკიდებულია თავად ცვლილებებზე, ცვლილება რომელიც ცვლის თქვენი გრანტის მიზანს არ იქნება ნებადართული. მაგალითად, თუ იცვლება აღჭურვილობის ბრენდი/ფორმის დასახელება ეს არ ცვლის გრანტის მიზანს და დასაშვებია. **თუ გსურთ ცვლილების შეტანა ბიუჯეტში თქვენ აუცილებლად უნდა აცნობოთ მაკ-ს წერილობითი სახით და დაელოდოთ დასტურს სანამ რეალურად განახორციელებთ ცვლილებებს.**

- ჩემი აპლიკაცია დაფინანსდა, შემოდის რომ ბიუჯეტი შევცვალო და მიღებული დაფინანსება სხვაგვარად დავხარჯო ვიდრე იყო შეთანხმებული?

სანამ მოხდება აპლიკაციის ჩაბარება აუცილებელია რომ მოხდეს შესაბამისი კვლევის ჩატარება, ხაზი გაესვას დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობას და მიზნობრიობას ასევე რომ გამოირიცხოს შეცდომა/ცდომილება თანდართულ ბიუჯეტში. თუ თქვენ დაგიდგათ ნებისმერი ცვლილების საჭიროება, გთხოვთ დაუყოვნებლად მიმართოთ მაკ-ს წერილობითი სახით. ჩვენ ვითვალისწინებთ ყოველ სიტუაციას ინდივიდუალურად და ვიღებთ გადაწყვეტილებას ცვლილების საჭიროებიდან და ხარჯების ეფექტურობიდან გამომდინარე. ჩვენ ვერ გავითვალისწინებთ მოთხოვნას ცვლილების შესახებ წერილობითი ფორმის გარეშე.

- როგორ უნდა მოვიქცე იმ შემთხვევაში თუ პროექტის დასასრულს სრულად ვერ ავითვისე გრანტით გათვალისწინებული თანხა?

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გრანტის გაუხარჯავი თანხა წარმოადგენს დონორის საკუთრებას (მაკ). იმ შემთხვევაში თუ პროექტის დასასრულს გაქვთ დარჩენილი დაუხარჯავი თანხა დაუყოვნებლივ მიმართეთ მაკ-ს წერილობითი სახით.

- ვალდებული ვარ თუ არა რომ წარვადგინო თხრობითი ან ფინანსური ანგარიში პროექტის შესრულების შემდგომ?

დიახ. პროექტის დასარულს თქვენ ვალდებული ხართ რომ წარადგინოთ ანგარიში რომელიც დაასაბუთებს გახარჯული თანხების მიზნობრიობას, ასევე დაეხმარება ჩვენს ორგანიზაციას განსაზღვროს თუ რამდენად მოხერხდა დაგეგმილი მიზნების მიღწევა.

- ვინ განიხილავს ჩემს აპლიკაციას?

ყოველი აპლიკაცია განიხილება სულ მცირე 4 ადამიანისგან შემდგარი კომისიის მიერ ( რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ მაკ-ის თანამშრომლებს, კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდეს საგანგებოდ მოწვეული წევრიც). ყოველი აპლიკაცია განხილულია და შეფასებულია კომიტეტის მიერ, და გადაეცემა აღმსრულებელ კომიტეტს რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას (დაფინანსების, არ დაფინანსების თუ ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ).

- მე წარსულში მაქვს მონაწილეობა მიღებული მაკ-ის საგრანტო კონკურსში, მაინტერესებს შემიძლია თუ არა რომ ხელმეორედ მივიღო მონაწილეობა?

თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ.

- მივიღე თქვენგან უარყოფითი პასუხი, მაინტერესებს თუ რა არის უარის თქმის მიზეზი?

ჩვენ ძალიან ვწუხვართ რომ არ შეირჩა თქვენი პროექტი, თუმცა აპლიკაციების დიდი რაოდენობის გამო მხოლოდ თქვენი მოთხოვნის საფუძველზე შევძლებთ რომ მოგაწოდოთ შეფასების ფურცელი და მასში ასახული დეტალები, გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გადახედვას და დამატებით განხილვას. .

